



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში

შეფასების თარიღ(ებ)ი: 21.10.2020-22.10.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.12.2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩი - კავკასიის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მეშველიანი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ წარმოადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის არსებული პროგრამის განახლებულ ვარიანტს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა აკრედიტირებულია 2012 წლიდან (პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 დეკემბრის N788 გადაწყვეტილება), მასზე პირველი მიღება განხორციელდა 2017-2018 სასწავლო წელს. ამ ფაქტის გათვალისწინებით პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული.

2012 წლიდან აღნიშნულმა პროგრამამ განიცადა რიგი შინაარსობრივი ცვლილებები (მოხდა საგნების ჩანაცვლება), შეიცვალა პროგრამის მიზნები და შედეგები. ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით (2019 წელი, 10 აპრილი) დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიცვალა საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება. კერძოდ, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კომპიუტინგი/ინფორმატიკა“ გახდა „ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი“.

ახალი რედაქციის პროგრამა ჩამოყალიბდა შემდეგვარად:

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS (1 კრედიტი = 25 სთ.), რომელიც განაწილებულია 8 სემესტრზე;

მათგან:

- ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები / კომპონენტები (180 კრედიტი) - სავალდებულო სასწავლო კურსები (135 კრედიტი), მათ შორის პრაქტიკა - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი და არჩევითი დარგობრივი კურსებს - 45 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი (60 კრედიტი) - სავალდებულო - 30 კრედიტი, არჩევით - 30 კრედიტი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შეიქმნა ამავე დარგის ორი პროფესორი და ერთი სტუდენტი, რომელთა უნივერსიტეტში „ვირტუალური“ ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 21 ოქტომბერს Zoom პლათფორმის საშუალებით, ხოლო 22 ოქტომბერს მოხდა დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შემოწმება ადგილზე. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს (on Line ჩართვებს) დეკანთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, სხვა პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში შეესაბამება **პირველ სტანდარტს**, მაგრამ სტანდარტის 1.1 პუნქტთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნა: პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მაგრამ ჭარბად დეტალიზირებულად. შედეგების აღწერაში თითოეული ქვეპუნქტის აღწერა/გადახაზვა ძირითად შედეგებთან ჯგუფებში არაერთგვაროვანია: **ცოდნა და გაცნობიერება** - წარმოდგენილია ერთი მრავლისმომცველი შედეგის სახით, ხოლო **უნარები** - 10 თითქმის კონკრეტული საგნების შესაბამისი შედეგით. ამასთან კურიკულუმის რუკაში მითითებულია, რომ ორი კომპონენტი **პრაქტიკა** და **საბაკალავრო ნაშრომი**, ფარავს შედეგების უმრავლესობას, რაც ყოველთვის ვერ იქნება შესაძლებელი პრაქტიკის სფეროს და საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით (ყოველისმომცველი სფეროს და თემატიკის შერჩევა რთულია).

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეორე სტანდარტს**, ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისი სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მესამე სტანდარტს**, ვინაიდან პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას სათანადო საკითხებში, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეოთხე სტანდარტს**, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და სტაბილურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეხუთე სტანდარტს**, ვინაიდან სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს უნივერსიტეტში დანერგილ და საუნივერსიტეტო დებულებებით განსაზღვრულ შიდა და გარე ხარისხის მექანიზმებს. უნივერსიტეტს გარდა „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ შემუშავებული აქვს დამატებითი დოკუმენტები „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ და „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომლებიც ზოგადად აღწერს სასწავლო პროგრამების შეფასების პროცედურას.

- **რეკომენდაციები**
 - შედეგების ზოგადი, მაგრამ ცხადი აღწერისათვის მოხდეს **ცოდნა და გაცნობიერება** პირველი შედეგის ორ-სამ შედეგად დაყოფა (ცოდნის სფეროების შესაბამისად), ხოლო **უნარების** შესაბამისი შედეგები დაჯგუფდეს და აღიწეროს შედარებით ნაკლები რაოდენობის შედეგის სახით.
 - დეტალურად აღიწეროს პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მითითებით;
 - დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა.
 - გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში (ან/და სხვა რომელიმე დამატებით დებულებაში) ცხადი სახით გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და მისი შეფასების კრიტერიუმები.
 - გამომდინარე სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან სასურველია დეტალურად იყოს გაწერილი ის პროცედურები, რომლებიც ამ დებულებებში საერთო სახითაა წარმოდგენილი (შეფასების პერიოდულობა, დადებითი ან/და უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ქმედებების განხორციელების ვადები და პროცედურები და ა.შ.)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - მიზნების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს უფრო დეტალიზირების გარეშე, ასე მაგალითად: განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება, რათა წარმატებით შეძლონ მონაწილეობის მიღება ტექნოლოგიების სხვადასვა არეების შესაბამისი პროექტების შექმნა-განვითარება-დანერგვაში.
 - გაიზარდოს მოწვეულ პედაგოგთა ჩართულობა პროგრამის შეფასება-განვითარების პროცესში.
 - სასურველია ჩატარდეს გარე შეფასება დამსაქმებელთა მონაწილეობით კურსდამთავრებულთა დასაქმების შემდგომ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

რეაკრედიტაციისათვის წარდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს:

- მისცეს ფართო ცოდნა სფეროს ძირითადი საკითხების შესახებ; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ თანამედროვე დონის სისტემური, მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური ცოდნა, რაც მათ საშუალებას მზად იყვინენ იმ ცვლილებებისთვის, რომლის პირობებშიც მოუწევთ საქმიანობა.
- განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება, რათა წარმატებით შეძლონ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა პროფილის ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების დაპროექტებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში; ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის ინფორმაციული რესურსების განვითარებაში; გამოუმუშავოს თანამედროვე კომპიუტერული ქსელების, ვებ ტექნოლოგიების, მედია აპლიკაციების შექმნის, ოპერაციულ სისტემებში სხვადასხვა სტანდარტული პროგრამული სერვისის იმპლემენტაციის, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების აგების, სერვისული მომსახურების, პროგრამული უზრუნველყოფის შენარჩუნებისა და გამართვის უნარი.
- გამოუმუშაოს პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მაგრამ ჭარბად დეტალიზირებულად ასახავს რა ცალკეული დარგობრივი საგნის მიზანს. წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული დარგობრივი საგნების მიზნების გათვალისწინებით ადეკვატური და მიღწევადია;

აღწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა ძირითადი მიმართულებების ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები რის საფუძველზეც პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი).

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზნების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს უფრო დეტალიზირების გარეშე, ასე მაგალითად: განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება, რათა წარმატებით შეძლონ მონაწილეობის მიღება ტექნოლოგიების სხვადასვა არეების შესაბამისი პროექტების შექმნა-განვითარება-დანერგვაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერის შესაბამისად სწავლების შედეგები მოცემულია 13 აღწერილი შედეგისაგან, რომლებიც გადანაწილებულნი არიან 3 ჯგუფად:

ცოდნა და გაცნობიერება

1. აღწერს კომპიუტერული სისტემების და საკომუნიკაციო ქსელების არქიტექტურის, ალგორითმების აგების, პროგრამირების ენების, მონაცემთა ბაზების, მედია და მობილური აპლიკაციების, კომპიუტერული გრაფიკისა და Web-ტექნოლოგიებთან მუშაობის ძირითად პრინციპებს, სტატისტიკურ მეთოდებს და მათემატიკურ თეორიებს, ინფორმაციული სისტემების დაპროექტების და ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის კონცეფციებსა და მეთოდებს.
2. უნარი არჩევს ქსელის დიზაინს, იყენებს ინსტალირების მეთოდებს და ორგანიზებას უწევს ქსელის ადმინისტრირებას.
3. იყენებს გრაფიკულ ელემენტებს, კასკადურ სტილებს (CSS), ჰიპერტექსტის მონიშვნის ენას (HTML), პროგრამულ სკრიპტებს (JavaScript, JQuery) Web-გვერდების დაპროექტებისათვის.
4. ამუშავებს შესაბამის ალგორითმებს, იყენებს პროგრამულ ენებს, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიებს.
5. იყენებს ინფორმაციის მოძიების, სისტემატიზების, შენახვის მეთოდებს და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს.
6. აფასებს კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრებს, არჩევს კომპიუტერული სისტემის კომპონენტებს კომპიუტერის ადმინისტრირებისთვის.
7. იყენებს მედია აპლიკაციების CMS სისტემებს, როგორებიცაა Blogger, Wordpress, Wix ინფორმაციის შექმნის, დამუშავებისა და გამოქვეყნებისთვის.
8. ახორციელებს Android და IOS ოპერაციულ სისტემაში სხვადასხვა სტანდარტული პროგრამული სერვისის იმპლემენტაციას.
9. ორგანიზებას უწევს დაგეგმილ საქმიანობას, იყენებს გუნდში სასარგებლო წევრობის ან ლიდერობის უნარს.
10. ამოცანის სპეციფიკის მიხედვით და მოძიებული ინფორმაციის ანალიზით განსაზღვრავს პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს და აყალიბებს სფეროში არსებული სტანდარტების შესაბამისად დასაბუთებულ დასკვნებს.
11. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს პროექტს და ახდენს მის პრეზენტაციას; ამყარებს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

1. პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო და სამუშაო გარემოში საქმიანობის წარმართვისას და მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით.
2. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას და შემდგომი სწავლის საჭიროებებს

შინაარსობრივად ისინი სრულად აღწერენ იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს და შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

შედეგების აღწერაში თითოეული ქვეპუნქტის აღწერა/გადაწილება ძირითად შედეგებთან ჯგუფებში არაერთგვაროვანია: **ცოდნა და გაცნობიერება** - წარმოდგენილია ერთი მრავლისმომცველი შედეგის სახით, ხოლო **უნარები** - 10 თითქმის კონკრეტული საგნების შესაბამისი შედეგით. ყოველი საგნის სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებული

გაზომვადი კრიტერიუმები, საშუალებას იძლევა მოხდეს მიღწევადობის დონის შეფასება ცალკეულ არეობთან მიმართებაში. ამასთან კურიკულუმის რუკაში მითითებულია, რომ ორი კომპონენტი **პრაქტიკა** და **საბაკალავრო ნაშრომი**, ფარავს შედეგების უმრავლესობას, რაც ყოველთვის ვერ იქნება შესაძლებელი პრაქტიკის სფეროს და საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურად (უფრო გადამეტებულად) აღწერენ ყველა აუცილებელ ცოდნა/უნარებს რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებას კონკურენტულ გარემოში და სურვილის შემთხვევაში განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას ინფორმაციის და კომინიკაციების ტექნოლოგიების სფეროში. შედეგების ზოგადი, მაგრამ ცხადი აღწერისათვის უნდა მოხდეს **ცოდნა და გაცნობიერება** პირველი შედეგის ორ-სამ შედეგად დაყოფა (ცოდნის სფეროების შესაბამისად), ხოლო **უნარების** შესაბამისი შედეგები დაჯგუფდეს და აღიწეროს შედარებით ნაკლები რაოდენობის შედეგის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა.

რეკომენდაციები:

შედეგების ზოგადი, მაგრამ ცხადი აღწერისათვის მოხდეს **ცოდნა და გაცნობიერება** პირველი შედეგის ორ-სამ შედეგად დაყოფა (ცოდნის სფეროების შესაბამისად), ხოლო **უნარების** შესაბამისი შედეგები დაჯგუფდეს და აღიწეროს შედარებით ნაკლები შედეგის სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
<input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი „უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების წესით“.

ჩანაწერი ზოგადი სახისაა და მოკლედ აღწერს ჩარიცხვის პროცესს საქართველოს მოქალაქეებისათვის. არაა მითითებული რაიმე კონკრეტული მოთხოვნები საგნების მიმართ - სავალდებულოება ან/და ქულობრივი ზღვარი. ასევე საჭიროა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მოითხოვს პირობების და პროცედურების დაზუსტებას.

საჭიროა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების უფრო მკაფიოდ და ცალსახად ჩემოყალიბება რომელიც დაეფუძნება პროგრამის სპეციფიკას და უფრო გაზრდის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. ,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“;
- ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge

რეკომენდაციები:

- დეტალურად აღიწეროს პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები საგანთა და ქულობრივ ზღვართა მითითებით;
- დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა ზრდადია.
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შესაბამისობაში უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასთან.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის საერთო მოცულობაა 240 კრედიტი (1 ECTS – 25 საათი). ამათგან 180 კრედიტი მოიცავს ძირითადი კვალიფიკაციისათვის განკუთვნილ სასწავლო კურსებს/კომპონენტებს, რომელთაგან სავალდებულო სასწავლო კურსებია 115 კრედიტი, პრაქტიკა - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი და არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსები - 45 კრედიტი. რაც სრულად შეესაბამება ბაკალავრიატის სწავლია საფეხურს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვების პირობა ზოგადია შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს მათ. სწავლების პირველი წლის საგანთა ერთობლიობა სრულად უზრუნველყოფენ ისეთი საფუძველის შექმნას, რომელიც უფრო მაღალი სირთულის დარგობრივი საგნების შესწავლას უზრუნველყოფს.

ძირითადი კვალიფიკაციისათვის განკუთვნილ სასწავლო კურსებს/კომპონენტების მოცულობა, მიზნები და შედეგები უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. არჩევითი საგნების რაოდენობა და შინაარსი მრავალფეროვანია. უმრავლესობა პრაქტიკული/გამოყენებითი ხასიათისაა, რაც მეტყველებს დასაქმების ბაზრის ანალიზის შედეგების გამოყენებასა და დამსაქმებელთა ჩართულობაზე პროგრამის შემუშავების პროცესში. არჩევითი საგნები უზრუნველყოფენ სტუდენტს გაიღრმავოს ცოდნა დარგის კონკრეტულ ქვემომართულებაში. არჩევანის შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა, რომელიც რამდენიმე საგნის შემთხვევაში (მაგ. დიდი მონაცემების შენახვა და დამუშავება) ფორმალურია და მხოლოდ საგნის სათაურითაა განსზღვრული მისიაში აღწერილი საკითხების გაუთვალისწინებლად. ასევე რიგ საგნებში შეინიშნება ძირითადი საგნების რამდენიმე საკითხთან გადაფარვა.

ყველა საგნის სილაბუსების ავტორები უფრო ძირეულად უნდა ეცნობოდნენ იმ საგანთა სილაბუსებს, რომლებიც მათ საგანთან კავშირშია (წინაპირობა ან/და მისი გაღრმავება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- ინტერვიუ საგნის პედაგოგებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ყველა საგნის სილაბუსების ავტორები უფრო ძირეულად უნდა ეცნობოდნენ იმ საგანთა სილაბუსებს, რომლებიც მათ საგანთან კავშირშია (წინაპირობა ან/და მისი გაღრმავება).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სწავლის შედეგები წარმოდგენილია უმეტესწილად ცალკეული საგნის სწავლის შედეგების სახით, ყოველი მათგანი ფარავს სულ მცირე ერთ შედეგს მაინც. საგანთა შინაარსი კრედიტების რაოდენობის და საკონტაქტო საათების გათვალისწინებით შეჯერებულია თითოეულ თემატიკასთან და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ მასალის დაძლევისათვის საჭირო

დროს. სასწავლო მასალა თანამედროვე და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან. საგნები მოიცავენ როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს. პრაქტიკულ ნაწილში მრავლადაა პროექტები, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას მოახდინოს თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანის გადაჭრაში დემონსტრირება.

პროგრამაში 10 კრედიტი გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომისათვის, რომლის მოთხოვნების აღწერასა და შეფასების კრიტერიუმებში ნათლად არაა წარმოდგენილი პრაქტიკული კომპონენტის მოთხოვნის სავალდებულობა. გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან კარგი იქნება თუ სილაბუსში (ან/და სხვა რომელიმე დამატებით დებულებაში) ცხადი სახით იქნება გაწერილი პრაქტიკული კომპონენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და მისი შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

გამომდინარე დარგის სპეციფიკიდან საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში (ან/და სხვა რომელიმე დამატებით დებულებაში) ცხადი სახით უნდა გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტისადმი წაყენებული მოთხოვნები და მისი შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში წარმოდგენილია რიგი დარგობრივი კურსები, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებას სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელების გზით. მრავლადაა წარმოდგენილი კურსები რომლებიც მეტწილად პრაქტიკულ სწავლებას მოიცავს. პროგრამის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომი. ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტმა შეიძლება ჩაატაროს პრაქტიკული სახის სამუშაოები.</p> <p>სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკა, როგორც სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული პროფესიული უნარების განვითარებაში. იმის გამო, რომ პროგრამას არ ჰყოლია კურსდამთავრებული და პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად პრაქტიკის კომპონენტი მოიაზრება სწავლების მე-8 სემესტრში, კონკრეტული შეფასება ვერ ხერხდება, თუმცა სხვადასხვა პერსპექტიულ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმები იძლევა საფუძველს, რომ კომპონენტი განხორციელებადი და ადექვატურად შეფასებადი იქნება.</p> <p>უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური ხელშეწყობა სხვადასხვა საგნობრივი პროექტების განსახორციელებლად. სტუდენტს შეუძლია წარადგინოს კვლევითი ან/და პრაქტიკული პროექტი და მიიღოს დაფინანსება.</p> <p>გარდა ამისა უნივერსიტეტში დანერგილია პრაქტიკა სხვადასხვა კომერციული თვალსაზრისით განხორციელებად „სტარტ-აპ“ პროექტების დაფინანსებაზე.</p> <p>ყოველივე ზემოაღწერილი მიზნების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ბიუჯეტი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულება“; ○ პრაქტიკის სილაბუსი; ○ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი; ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ○ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები; ○ „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ .
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ</p>

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში აღწერილ კომპონენტების უმრავლესობაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად, გამოიყენება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, დემონსტრირების, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, შედარებითი მეთოდები.</p> <p>თითოეული საგანი მოიცავს რამდენიმე მეთოდის გამოყენებას, შინაარსის სპეციფიკის საგნის მიზნის და შედეგის გათვალისწინებით. პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე უზვადაა გამოყენებული პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, რაც ასახულია კონკრეტული საგნების პროექტებში. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მოქნილობას და შესაძლებელს ხდის სხვადასხვა</p>

შესაძლებლობის მქონე სტუდენტზე მორგებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები: <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სხადასხვა სახის შუალედურ (ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვ.) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების ფორმებში უმთავრესად გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა. მეტნაკლებად შეუსაბამოდაა წარმოდგენილი საბაკალვრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები/მოთხოვნები, რომლის მოთხოვნების აღწერასა და შეფასების კრიტერიუმებში ნათლად არაა წარმოჩენილი პრაქტიკული კომპონენტის მოთხოვნის სავალდებულობა და ცხადი სახით არაა გაწერილი პრაქტიკული კომპონენტისადმი წაყენებული მოთხოვნები, მისი შეფასების კრიტერიუმები. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული ამ საკითხის დროული გადაწყვეტა სრულად აღმოფხვრის ამ შეუსაბამობას.

ყოველი შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების მექანიზმს შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დეტალური ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შესახებ მოცემულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომელიც იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისია. უნივერსიტეტში არსებული რეგულაციები საშუალებას აძლევენ სტუდენტებს მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე, მოახდინონ შეფასების შედეგების გასჩივრება და სრულყოფილი პასუხის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სასწავლო კურსების/ კომპონენტების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

